# გელათის ისტორიული გზები

(ზოგადი მომოხილვა)

გელათის მონასტრის ძველი ინფრასტრუქტურის (თავდაცვითი ნაგებობები, სასიგნალო კოშკები, ხიდები, წყალმომარაგების სისტემა, ღვარსადენები...) შემორჩენილ ნაშთებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს საკომუნიკაციო ნაგებობებს, რომელთა შორისაც ძველ, ისტორიულ გზას ფუნქცია დღემდე არ დაუკარგავს.

მონასტრის ისტორიულ გალავანში ძველ გზებთან დაკავშირებული ორი კარიბჭეა გაჭრილი. აღმოსავლეთის კედელში არსებული კარიბჭით (რომელსაც მე–19 ს–ის წყაროებში ,,დიდი კარი“ ეწოდება) დავით აღმაშენებლის ეპოქის დროინდელი სოხასტერის, ადრეულ შუასაუკუნეებში აგებული მთავარანგელოზთა ეკლესიის, წყაროსცხოვრების ეკლესიის, წყალსადენის სათავე და ელის ქედის სხვა ნაგებობებისკენ შეიძლებოდა გასვლა. ეს კარი და გზა (რომელიც დღეს საავტომობილოა) ვფიქრობთ, რომ ავთენტურია.

ამ კარიბჭიდან შევიდნენ მონასტერში 1651–1652 წლებში იმერეთის სამეფოში მყოფი რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი.

მეორე, დავით აღმაშებნებლის საპარადე კარიბჭე (,,მაცხოვრის კარი“) და მასთან დაკავშირებული საგზაო ინფრასტრუქტურა ასევე ავთენტურია. საინტერესოა, რომ 2014 წელს დავითის კარიბჭის ჩრდილოეთის ექსტერიერში გამოვლინდა დავითისეულ გალავანზე ადრეული გალავნისა და კუტიკარის ნაშთები.

2010 წელს ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ უჩვენა, რომ გვიან შუასაუკუნეებში დავითის კარიბჭის სამხრეთის თაღი გარკვეულ დონეზე მაინც ამოშენებულია და თავდაპირველი სახე და ფუნქცია შეცვლილია. ამ დროს კარიბჭე მოხატულია და სამლოცველოდაა გადაქცეული.

დავითის კარიბჭის წინ, იქ სადაც დღეს მონასტრის ვენახია, 2010 წელს დავითის საფლავის ნიშნულიდან 1,4 მ–ის სიღრმეზე დადასტურდა ქვაფენილიანი ქუჩის ნაწილი.

დავითის კარიბჭიდან გამოსული გზა იქვე ორად იყოფოდა. აღმოსავლეთის ტოტი დაახლოებით 50 მეტრში ასევე ორად იყოფა. მისი ჩრდილოეთის ტოტით შეიძლებოდა აღმოსავლეთის კარიბჭესა და მასთან დაკავშირებულ ზემოაღწერილ მიმართულებებზე (სოხასტერი, წყაროს სათავე.....) გასვლა, ხოლო სამხრეთის ტოტი აღმართს შეუყვება და ელისქედზე ასული კიდევ სამად იყოფა: ჩრდილოეთის ტოტი უკავშირდება ელიას ეკლესიას, სენაკებისა და ეკლესიების ნაშთებს ქარაფის გაყოლებით ბერციხემდე), აღმოსავლეთისა სოფელ გოდოგნის ტერიტორიაზე გამავალ ისტორიულ ,,ქართლის შარას“ (ნიკო ბერძენიშვილი) უერთდება, სამხრეთისა კი საბას საყდართან გადის და აქედან მოწამეთისა და ,,დავითის კონცხისკენ“ ეშვება.

კარიბჭიდან გამოსული გზის  მეორე, დასავლეთის ტოტი მდინარე წყალწითელას მიმართულებით პერპენდიკულარულად ეშვება და დაახლოებით 100–იოდე მეტრში ასევე ორად იყოფა. ერთი, ურთულეს რელიეფზე გატანილი (ამ გზის მარცხენა ფერდობზე არაერთი ნაგებობის ნაშთი იკითხება) სამხრეთით დავითის კონცხისკენაა მიმართული  და საბას საყდრიდან დავითის კონცხისკენ ჩამომავალ გზას უერთდება). მეორე ტოტი კი ძირითადია და მდინარისაკენ რთული ტრაექტორიით ეშვება.

ამ  გზის იმ ნაწილში, რომელიც კლდოვან ფერდობს დაუყვება, შემორჩენილია კლდის ნატეხი ქვით მოკირწყლული მონაკვეთები, გზის გაბარიტების მომზღუდავი, მშრალი წყობით ნაგები ყორეები, წყლის გადასაყვანი არხები....

როგორც ჩანს გზის ეს ტოტი იმდროინდელ დასახლებაში იქსელებოდა, რისი დასტურიცაა გზის ორივე მხარეს დღემდე შემორჩენილი ქვაში ნაკვეთი საწნახლები, კულტურული ფენები, თავდაცვითი კოშკის ნაშთები, საწური მოწყობილობის ქვები (მერეტაფა).....

ამ ტოტზე კარიბჭიდან დაშვებული იქამდე, სადაც თანამედროვე მოსახლეობა იწყება, გზის კვალი კარგადა ჩანს და დაგეგმილი რეაბილიტაციის პროცესში ავთენტური მასალების გამოყენება და ზოგადად ავთენტურობის შენარჩუნება აუცილებელია. მეორე მონაკვეთი კი, რომელიც მოსახლეობის გავლით მდინარემდე ჩადის, არაერთხელაა შეკეთებული, ავთენტური აქ თითქმის აღარაფერია და მისი თანამედროვე საფარით რეაბილიტაცია დასაშვებია.

ისტორიის აკადემიური დოქტორი: /როლანდ ისაკაძე/

12.02.2018.